საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

25/08/2025

MES 5 25 0001017725

გადაწყვეტილება

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 06 ივნისის №634439 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლოპროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) საბჭომ ამოიღო 1.2 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია - „რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების პერიფრაზირება და ხელახლა ფორმულირება მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენებით. ეს გაამარტივებს პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს კი ზუსტსა და გამჭვირვალეს გახდის“, შედეგად, სტანდარტის 1.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ბ) საბჭომ ამოიღო სტანდარტის 1.4 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია კრედიტების განაწილების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეროვნულ სტანდარტთან სრული შესაბამისობა. კერძოდ: სპეციალიზებული (დარგობრივი) კომპონენტები უნდა მოიცავდეს სულ 220 ECTS კრედიტს, მათ შორის ყველა შესაბამის საუნივერსიტეტო, ფაკულტეტის, საბაზისო, კლინიკურ, პროფილურ და პრაქტიკულ საექთნო კურსებს, რომლებიც პირდაპირ უწყობს ხელს საექთნო კვალიფიკაციისთვის საჭირო პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას“, შედეგად სტანდარტის 1.5 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“,

გ) საბჭომ 4.1 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია - „რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გადადგას პროაქტიული ნაბიჯები სასწავლო პერსონალში ექთნების ამჟამინდელი დეფიციტის მოსაგვარებლად“, გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით - „სასურველია, პროგრამამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში ექთნების კვალიფიკაციის მქონე

პერსონალის პერმანენტული გაზრდა“, შედეგად სტანდარტის 4.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“,
დ) საბჭომ სტანდარტის 5.1 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაციები 1. „რეკომენდებულია, თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ჯგუფში აკადემიური პერსონალის ჩართვა“ და 2. „რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა თვითშეფასების პროცესში შესაბამისი ანგარიშების მომზადებისას აღმოფხვრას ტექნიკური და ფაქტობრივი უზუსტობები“, გადაიტანა რჩევებში. შედეგად, სტანდარტის 5.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ზემოაღნიშნული ცვლილებების საფუძველზე პირველი სტანდარტის შეფასება, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 25 აგვისტოს სხდომის №1016532 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3);

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 11 აგვისტოდან
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული

გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური